საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ბრძანება №1

ბათუმი

„20" თებერვალი 2025 წ.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულებისა და სტრუქტურის დამტკიცების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2022 წლის 18 თებერვლის N05 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტის მიერ 2024 წლის 13 დეკემბერს მიღებული იქნა საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (N165-Iმს-XIმპ, სარეგისტრაციო კოდი: 010320000.05.001.102434, ამოქმედების თარიღი: 29.12.2024). აღნიშნული კანონის თანახმად, იცვლება საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელისა და მისი მოადგილის სამსახურში მიღების წესი, კერძოდ, საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი და მისი მოადგილე სამსახურში მიიღებიან ადმინისტრაციული ხელშეკრულებით. ასევე უმაღლესი საბჭოს მიერ 2024 წლის 19 დეკემბერს მიღებული იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ" (N14-Iს, სარეგისტრაციო კოდი: 010240080.51.056.016055), რომლითაც შეტანილი იქნა ცვლილება უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-16 მუხლში და იმის გათვალისწინებით, რომ მაჟორიტარების ინსტიტუტი აღარ არსებობს, უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრის წარმომადგენლის ნაცვლად, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გათვალისწინებული და დარეგულირებული იქნა უმაღლესი საბჭოს წევრის - ოლქის დელეგატის წარმომადგენლის საკითხი.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულებით განსაზღვრული ზოგიერთი საკითხის დაზუსტების, ახლებურად დარეგულირების და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ი" და „ტ" ქვეპუნქტების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულებისა და სტრუქტურის დამტკიცების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2022 წლის 18 თებერვლის N05 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებულ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულებაში" (დანართი N1) შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) მე-8 მუხლის:

ა.ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. უმაღლესი საბჭოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს (გარდა კომიტეტების აპარატების უფროსებისა) „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით, უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის წარდგინებით,

ადმინისტრაციული ხელშეკრულებით სამსახურში იღებს და კანონით დადგენილი წესით ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას აფორმებს/წყვეტს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.“

ა.ბ) პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს 1[1] პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1[1]. უმაღლესი საბჭოს კომიტეტების აპარატების უფროსების პოზიციებზე, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით სამსახურში მისაღებად, კანდიდატს შესაბამისი კომიტეტის თავმჯდომარე წარუდგენს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსს. კომიტეტის თავმჯდომარის მიერ წარდგენილ კანდიდატს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის წარდგინებით, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით სამსახურში იღებს და კანონით დადგენილი წესით ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას აფორმებს/წყვეტს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.“

ა.გ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის კაბინეტის უფროსს და უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის კაბინეტში დასაქმებულ პირებს - უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თანაშემწეებს, მრჩევლებს ადმინისტრაციული ხელშეკრულებით სამსახურში იღებს და კანონით დადგენილი წესით ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას აფორმებს/წყვეტს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის სამდივნოს უფროსს და სამდივნოში დასაქმებულ პირებს, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის წარდგინებით, კომიტეტების თავმჯდომარეების თანაშემწეებს, შესაბამისი კომიტეტის თავმჯდომარის წარდგინებით, უმაღლესი საბჭოს წევრების თანაშემწეებს, უმაღლესი საბჭოს შესაბამისი წევრის წარდგინებით და უმაღლესი საბჭოს წევრის - ოლქის დელეგატის წარმომადგენლებს, უმაღლესი საბჭოს შესაბამისი წევრის - ოლქის დელეგატის წარდგინებით, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით სამსახურში იღებს და კანონით დადგენილი წესით ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას აფორმებს/წყვეტს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.“

ა.დ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. უმაღლესი საბჭოს აპარატის საჯარო მოსამსახურეებს, გარდა ამ მუხლის 1-2 პუნქტებში მითითებული საჯარო მოსამსახურეებისა, ასევე უმაღლესი საბჭოს აპარატში დასაქმებულ სხვა პირებს, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს ორგანული კანონით ,,საქართველოს შრომის კოდექსი“ და უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს, შრომით ხელშეკრულებებს აფორმებს/წყვეტს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი.“

2. ბრძანების ასლი სახელმძღვანელოდ და ცნობისათვის დაეგზავნოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურულ ერთეულებს. ბრძანება განთავსდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე.

3. ამ ბრძანების კანონით დადგენილი წესით შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის დაგზავნა უზრუნველყოს უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის საქმისწარმოების განყოფილებამ, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე ბრძანების განთავსება უზრუნველყოს უმაღლესი საბჭოს აპარატის მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა.

4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსს.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით გაბაიძე